უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №07

ქ. თბილისი 28.06.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მაკა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
დავით ბედოშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიწადმოქმედების ინსტიტუტის დირექტორი;
ირაკლი ღარიბაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი;
რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი;
ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
რამაზ საყვარელიძე - სსიპ - თბილისისსახელმწიფოსამედიცინოუნივერსიტეტისპროფესორი;
ნანა შარიქაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
თამარ იოსელიანი - სსიპ - საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
გიორგი ისაკაძე - ა(ა)იპ - ბიზნესმედია საქართველოს დამფუძნებელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
კახაბერ ერაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ შენგელია - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი მუნჯიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოსსპეციალისტი;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

რევაზ ზედგინიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სხვა დამსწრე პირები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი; მოწვეული საბჭოს წევრი, სათათბირო ხმის უფლებით;
შორენა ხუბუნაია - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი; მოწვეული საბჭოს წევრი, სათათბირო ხმის უფლებით;
ნანა როსტომაშვილი - ა(ა)იპ - კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის წარმომადგენელი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:05 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო გადაწყვეტილებას იღებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თაობაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია, ასევე, მონაწილეობდეს საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული 2 პირი. თავმჯდომარის გადაწყვეტილებით 2018 წლის 28 ივნისის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებდნენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები, შორენა ჯაფარიძე და შორენა ხუბუნაია.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ,,საზოგადოება ცოდნისთვის" ავტორიზაციის (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის) გაუქმების საკითხის განხილვა;
2. შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის ავტორიზაციის (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის) გაუქმების საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა;
4. ,,ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 26 მარტის №14 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს წინაშე შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. ა(ა)იპ - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ,,საზოგადოება ცოდნისთვის" ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ საბჭოს გააცნო საქმის ვითარება. მისი განცხადებით, ა(ა)იპ - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირ ,,საზოგადოება ცოდნას" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) მინიჭებული ჰქონდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 14 აგვისტოს №242 გადაწყვეტილებით. ამასთან, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 18 აპრილის №57 გადაწყვეტილებით ა(ა)იპ - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ,,საზოგადოება ცოდნას" მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი). ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად, დაწესებულება არ არის უფლებამოსილი ერთდროულად ფლობდეს უმაღლესი საგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათელბლო დაწესებულების სტატუსს სხვა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი. აღნიშნულის შესაბამისად, საბჭოს წინაშე წარმოდგენილ იქნა ა(ა)იპ - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ,,საზოგადოება ცოდნისთვის" ავტორიზაციის (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის) გაუქმების საკითხი. ამასთანავე, დაწესებულებამ გამოთქვა მზაობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელი შეუწყოს სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს მობილობის პროცესში.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ლაშა მარგიშვილის განცხადებით, აღნიშნულ დაწესებულებას ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერიცხებოდა 17 სტატუსშეჩერებული სტუდენტი, ხოლო ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერიცხებოდა 17 სტატუსშეჩერებული სტუდენტი. თუკი, საბჭო მიიღებდა გადაწყვეტილებას დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფდა სტუდენტების ინფორმირებულობას აღნიშნულ საკითხთან და მობილობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ,,საზოგადოება ცოდნისთვის"ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, 56⁴-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და 28-ე მუხლის საფუძველზე, ა(ა)იპ - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ,,საზოგადოება ცოდნას" (საიდენტიფიკაციო კოდი: 203844242) გაუუქმდეს ავტორიზაცია (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი).

2. შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ საბჭოს გააცნო საქმის ვითარება. მისი განცხადებით, შპს ინტერბიზნესის აკადემიას უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების სტატუსი (კოლეჯი) მინიჭებული ჰქონდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 20 ნოემბრის №28 გადაწყვეტილებით. ამასთან, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 08 მაისის №79 გადაწყვეტილებით შპს ინტერბიზნესის აკადემიას მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი). აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2018 წლის 18 ივნისი. ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების თანახმად, დაწესებულება არ არის უფლებამოსილი ერთდროულად ფლობდეს პროფესიული საგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათელბლო დაწესებულების სტატუსს სხვა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი. აღნიშნულის შესაბამისად, საბჭოს წინაშე წარმოდგენილ იქნა შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის ავტორიზაციის (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის) გაუქმების საკითხი. ამასთანავე, დაწესებულებამ გამოთქვა მზაობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელი შეუწყოს სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს მობილობის პროცესში.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ლაშა მარგიშვილის განცხადებით, აღნიშნულ დაწესებულებას ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერიცხებოდა 2 სტატუსშეჩერებული სტუდენტი. თუკი, საბჭო მიიღებდა გადაწყვეტილებას დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფდა სტუდენტების ინფორმირებულობას აღნიშნულ საკითხთან და მობილობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ინტერბიზნესის აკადემიისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და 28-ე მუხლის საფუძველზე, შპს ინტერბიზნესის აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 201990881) გაუუქმდეს ავტორიზაცია (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი).

3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების საკითხის განხილვა

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ საბჭოს გააცნო საქმის ვითარება. მისი განცხადებით, ცენტრის დირექტორის 2018 წლის 31 იანვრის №72 ბრძანების საფუძელზე, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა მონიტორინგი, დაწესებულების მოდიფიცირებული მე-5 საფეხურის ბუღალტრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მე-5 საფეხურის ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩო დოკუმენტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, რომლის შედეგებიც განხილულ იქნა 2018 წლის 10 აპრილს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დაწესებულებისათვის მიეცა 30 კალენდარული დღე ხარვეზების გამოსასწორებლად, კერძოდ, ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გადასამუშავებლად. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული პროგრამა და ადასტურებდა, რომ ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები დაწესებულებამ გაითვალისწინა.

შესაბამსიად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების ჩამორთმევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის (საიდენტიფიკაციო კოდი: 424066977) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების ჩამორთმევასთან დაკავშირებით.

4. ,,ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 26 მარტის №14 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისს საბჭოს წევრმა, დავით ბედოშვილმა აღნიშნული საკითხის განხილვის წინა განაცხადა თვითაცილება, ვინაიდან იგი წარმოადგენდა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიწადმოქმედების ინსტიტუტის დირექტორს.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, კახაბერ ერაძემ საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში" 2018 წლის 31 იანვრის №07/ნ ბრძანებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად, დებულების მე-40 მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაევალათ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში გადაენაწილებინათ ადგილები ყველა, მათ შორის ე.წ. საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამეზეც და 2018 წლის 1 მარტამდე შუამდგომლობით მიემართათ შესაბამისი საბჭოსათვის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების განსაზღვრასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. ამასთან, დებულების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა წარმოადგენს თითოეული პროგრამის მიხედვით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების ჯამს, რაც იწვევს დაწესებულებისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა საერთო ზღვრული რაოდენობის კორექტირებას.

ასევე, ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებით შეიცვალა ზოგადი სავალდებულო მოდულები, რის საფუძველზეც, ავტორიზაციის დებულების მე-6 მუხლის ,,გ" პუნქტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით (პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტს), დაწესებულებებმა ავტორიზაციის დებულების 30[2]-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე წარმოადგინეს ინფორმაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების თაობაზე. ასევე, კორექტირდება მისანიჭებელი კვალიფიკაციების ფორმულირება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს" მე-4 დანართის შესაბამისად და მიეთითება პროფესიული სპეციალიზაციის კოდი.

კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა ზემოთაღნიშნული შუამდგომლობა, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების კორექტირების საჭიროების შესახებ. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა უცვლელი რჩებოდა და 250-ით განისაზღვრებოდა. მან საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ საბჭოს წინაშე წარმოდგენილი შუამდგომლობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადანაწილება კიდევ ერთხელ იქნა გადამოწმებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას საკმარისი რესურსები, რათა შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო შეექმნა მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობისთვის. აღნიშნულ კითხვაზე, კახაბერ ერაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნდა შესაბამისი რესურსები.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 26 მარტის №14 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ცვლილება განხორციელდეს ,,ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 26 მარტის №14 გადაწყვეტილებაში და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
,,2. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 4000-ით. სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 250-ით. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად":

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილებისზღვრულირაოდენობა	პროგრამისგანხორციელებისმისამართი / მისამართები
1	მზარეული	მეორე	მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010463	45	ქართული	250	ქ. თბილისი, კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №240

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 17:35 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი